სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო კარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თად მიჰმართავენ რედაქციის დილის
10—3 საათამდე და საღამოს 6—7
და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

პ ირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხოგამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363.

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა პარასკევს, 24 ივლისს.**

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიას გასასყიდათ ახალი წიგნი

**თ. ილია ჭავჭავაძე**

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი
წერილი პირველი
მეგახლავარ-ისა
ფასი 20 კაპ.

ვინც დაიბარებს ათს ცალზე მეტს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას დაეთმობა 20%. (15—14)

ახლად გამართული რესტორანი
**„იუჟნი ნომერა“**
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
**ფასი ყველაფრისა იაფია**
(30—9) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины
Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

**მეშვიდე და მერვე გვერდი ზედ აქვს**



აუარებელი რიცხვი
**საკერავი მაშინე-ბისა**
ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის.
პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
**ველოსიპედები**
(თვით-მავალა)
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი დ მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა

სავაჭრო სახლი ს. პ. პავლოვისა
ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349

**Торговый домъ**
С. П. Павлова и К-о
Телефонъ 349
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правосл. Семин

Богатѣйшій выборъ
**Швейныхъ машинъ**
и
**ВЕЛОСИПЕДОВЪ**
(100—42)



შპალერების საწყობი
**ი. გ. მელიქიშვილისა**
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**
**І. Г. МЕЛИКОВА**
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 31)

**ექიმი**
**კ. ი. გძელიშვილი**
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки.
(100—31)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ზერატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ,

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

20 ივლისი.

**კელნი.** „კელნის გაზეთს“ დეპეშით აუწყებენ ბერლინიდან: „ის უსიამოვნება, რომელიც გამოიწვია რუსეთსა და გერმანიას შორის ბატების საქმემ, მოისპო: გერმანია დასთანხმდა ბატების ქვეითად გადადენაზე 24 განსაზღვრულ ადგილამდე და უმახლობელეს რკინის გზის სადგურამდე.

**ჰამბურგი.** პარასკევს ბისმარკი შედარებით გვარიანად გრძნობდა თავს. შაბათ დილას თავადმა გაზეთები წაიკითხა, ილაპარაკა პოლიტიკაზე, ჭამა. უცებ ფილტვები ასტკივდა და ცუდად შეიქნა. ნასადილევს თავადმა რამდენჯერმე დაჰკარგა ცნობიერება. საღამო ხანს სამწუხარო ნიშნები გამოაჩნდა. გარდაიცვალა 11 საათზე, ადვილად, უტანჯველად. გარდაცვალებულთან მოგროვდნენ ოჯახის ყველა წევრნი და ახლად მოსულნი შვენინგერი და კრიზანდერი. უკანასკნელი სიტყვებით თავადმა მიჰმართა გრაფინა ნანცაუს, რომელიც მას შუბლსა სწმენდდა,—ეს სიტყვები იყო; „გმადლობ, შვილო ჩემო“. თავადი ისე წევს, თითქო სძინავს; პირისახის გამომეტყველება მშვიდი აქვს.

**ბერგენი.** (ნორვეგია) გუშინ საღამოს იმპერატორმა მიიღო პირველი სამწუხარო ამბავი ბისმარკის მდგომარეობის შესახებ, დღეს დილით-კი—სიკვდილის ამბავი. „გოგენცოლერნის“ გემზე დროშ

ჩამოშვებულია ნახევრად. იმპერატორმა ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ გერმანიაში დაბრუნებაზე და ხვალ საღამოთი მოვა კილში.

**ბერლინი.** მთელი დღის განმავლობაში მცხოვრებნი მწუხარებას იჩენდნენ ბისმარკის სიკვდილის გამო. ყველა საზოგადოებრივ ადგილებში ბაასი არის აღძრული ამ ამბის გამო და ყველას აღელვება ეტყობა.

**ვაშინგტონი.** მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განხილულ იქმნა კითხვა ფილიპინის კუნძულების შესახებ. დაადგინეს კითხვა გადუწყვეტელი დარჩესო, რადგან მას შემდეგში ამერიკისა და ისპანიის კომისია გადასწყვეტსო. ზავის შესახებ კაბინეტმა მიიღო შემდეგი პუნქტები: 1) დათმობა ისპანიის ყველა კუნძულებისა ვესტინდიაში, გარდა კუბისა; 2) უარყოფა ისპანიის მიერ კუბაზე უზენაესი უფლებისა; ამერიკელებს უფლება ექნებათ კანტროლი გაუკეთონ ხოლმე კუნძულს, სანამ იქ მართებლობა დაწესდებოდეს; 3) დათმობა მარიანის ერთ-ერთი კუნძულისა, კუთხის სადგურის ასაშენებლად, ანდა, შესაძლოა, კარლინის ერთ-ერთ კუნძულისა იმავე საგნისათვის; 4) ამერიკელები არ კისრულობენ კუბის სახელმწიფო ვალს; 5) არავითარ სასყიდელს სამხედრო ხარჯებისათვის ამერიკელები არ მოითხოვენ; 6) ზავის ჩამოგდების პირობების შემუშავება მიენდობა ამერიკისა და ისპანიის კომისიას იმ პირობით, რომ ისპანიის ჯარმა დაუყოვნებლივ დასტოვონ კუბა და პორტო-რიკო.

დევეს დეპეშამ, რომელიც სხდომის დროს მიიღეს, არსებითად შეუწყო ხელი იმ პუნქტის მიღებას, რომელიც შეეხება ფილიპინის კუნძულებს. დეპეშაში ნათქვამია: „სრულიად მოსალოდნელია მეამბოხეებთან შეტაკება, ამ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გადავიყვანოთ სხვა და სხვა კუნძულებზე 150,000 კაცი.

**მადრიდი**. გაზეთები იუწყებიან, რომ გაჩნდნენ 300 კარალისტის ბრბო სიუდურგელის მიდამოებში. მათ დაადევნეს ჯარი.

**ვაშინგტონი**. იმ მოლაპარაკებას, რომელიც მოხდა გუშინ პრეზიდენტსა, დეესა და კამბონს შორის, ფრიად თვალ-საჩინო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მისი შემწეობით მოსახერხებელი შეიქნა ზავის წინასწარი პირობების დადგენა, რომელსაც მხოლოდ ისპანიის თანხმობა ეჭირვება. მას შემდეგ, რაც კამბონმა საგულისხმო საბუთები მოიყვანა, პრეზიდენტი და დეი დასთანხმდნენ ზავის პირობების შეცვლაზე ერთ პუნქტში, რომელიც ჯერ კიდევ არ ვიცით. კამბონმა აუწყა მადრიდში მოლაპარაკების შედეგი დასამტკიცებლად.

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. გ. ს. გოლიცინი 19 ივლისს ესენტუკიდან მოვიდა ტფილისს, 20 ივლისს თავისი მეუღლითურთ საზაფხულოდ გაემგზავრა კოჯორს.

6 ან 7 ავვისტოს თავ. გოლიცინი გაემგზავრება მოსკოვს, სადაც დაესწრება იმპერატორის ალექსანდრე მე-II-ის ძეგლის კურთხევას.

*** კავკასიის გზათა უწყების უფროსმა წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს მომავალი წლის საგზაო მუშაობის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. ამ პროექტით იგი თხოულობს გზებზე დასახარჯად 6,000,000 მან.; ამ ფულიდან 2 მილიონი მან. უნდა მოეხმარდეს ახალი გზა-ტკეცილების გაყვანას, პორტების გაუმჯობესებას და სხ..

*** შანათ-მრეწველობის საქმე კავკასიაში. როგორც გაზეთ „სინ ოტ.“-ს აუწყებენ, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში აღძრულია კითხვა იმ ზომების მიღების შესახებ, რომლებიც საჭიროა კავკასიაში შინათ-მრეწველობის განვითარებისათვის.

*** გერმანელი სტუდენტები კავკასიაში. „ჩერნ. ვესტ.“-ის სიტყვით, ამ დღეებში კავკასიას ეწვევიან გერმანელი სტუდენტები, რომლებსაც თან ახლავს ორი პროფესორი, და ინახულებენ ბათომს, ტფილისს, ბაქოს და კავკასიის ზოგიერთ სხვა ქალაქებს.

*** შემწეობა ქუთაისის უფასო საქალებო სკოლისათვის. კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო მიეცეს ქუთაისის უფასო საქალებო სკოლას საკუთარი შენობის ასაგებად 500 მან. ამასთანავე მთავარ-მართებელმა დაუნიშნა აღნიშნულ სკოლას ერთ დროებით შემწეობად 200 მან. ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მოგებიდან.

*** ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კავკასიაში. როგორც გაზეთს „სინ ოტ.“-ს გაუგონია, სასჯულო საქმეთა სამინისტროს შესაძლებლად უცვნია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება მხოლოდ სტავროპოლის გუბერნიასა და ყუბანის ოლქში.

*** ქურდობა. 19 ამ თვეს, ღამით, მე-6 განყოფილებაში, ერევნის გზა-ტკეცილზე ტოლლეს საპნის სახდელ ქარხნის მუშებად ნამყოფნი, ტფილისის მაზრის მცხოვრებნი ალექსი ადამაშვილი და ივ. დალაქიშვილი შესულან კიბით ტოლლეს ქარხნის ჩარდახზე და ჩასულან ქარხანაში, სადაც მოუტაცნიათ კანტორიდან კასის ყუთი, სიმძიმით ერთ ფუთ ნახევარი, რომელშიაც ყოფილა 500 მან. დამნაშავენი შეიპყრო პოლიციამ; კასის ყუთი გატეხილი ნახეს ხრამში ებრაელთა სასაფლაოს მახლობლად. ფული დამნაშავეთ ვერ უნახეს. ადამაშვილი და დალაქიშვილნი სამართალში იქმნენ მიცემულნი.

*** უკანონო ვაჭრობა საეკკლესიო სანთლით. სასულიერო უწყებაში ხელ-მეორედ აღიძრა კითხვა საეკკლესიო სანთლით უკანონო ვაჭრობის მოსასპობ ზომების შემუშავების შესახებ. განზრახვა აქვთ სრულიად აღკრძალონ საეკკლესიო სანთლის კერძოდ გაკეთება და გაყიდვა და დაუსაკუთრონ ორივე უფლება მხოლოდ საეკკლესიო სანთლის ქარხნებს.

*** წარმოების შესახებ ცნობების შეგროვება რკინის გზების მიერ. ამ ჟამად რკინის გზების სამმართველოები იმ რაიონებში, სადაც ისინი მოქმედებენ, აგროვებენ ცნობებს ადგილობრივი სავაჭრო-სამრეწველო, საქარხნო-სახელოსნო და სამეურნეო წარმოების შესახებ. ეს ცნობები წარმოადგენენ საზოგადო სურათს თვითეული რაიონის წარმოებისას და მასთან რკინის გზების მოქმედების კავშირს.

*** **თელავი.** ცეცხლის გაჩენა. 14 ივლისს, ნაშუაღამევის 3 საათზე, ცეცხლი მოეკიდა ზ. მაჭავარიანის გომურს, სადაც ება საბეგრო ინსპექტორის კახიძეს ცხენი. ცეცხლის გაჩენის ნამდვილი მიზეზი არავინ იცის, მაგრამ როგორც ამბობენ, ცეცხლი გაჩენილა თივიდამ, რომელიც გომურს გვერდზე იყო შენახული; ამის ახლო სდგას კიდევ ფეხისალაგი. იქნება იქ შესვლის დროს ვინმემ გადააგდო პაპიროსის და ან წუმწუმას ნამწვი. თივიდამ ცეცხლი მოეკიდა გომურს, ცეცხლის შუქზე გამოჰღვიძებია კახიძეს, გამოვარდნილა გარეთ, გაუღვიძებია მეჯინიბე, მერე მივარდნილა ცხენის გამოსაყვანათ. რა წამს კარები გაუღიათ, ცხენი სიცხისაგან შეწუხებული გამოვარდნილა. თუმცა მეჯინიბეს თოკი ხელში სჭერია, მაგრამ მაინც ვერ შეუმაგრებია და ტყეში გავარდნილა. მისაშველებლად ყველაზე წინ მოსულა ერთი იმერელი, რომელსაც იქვე ახლო აქვს დუქანი და მერე სხვებიც ზარის ხმაზე.

როცა ცეცხლი ხალხმა სულ ჩააქრო, პოლიციაც მობრძანდა და „გოროდოვებმა“ მოარახრახეს ცეცხლის საქრობი მანქანა, მაგრამ ხალხმა დაუძახა: „ეხლა თქვენი „კამანდა“ აღარ გვინდა, მოიტათ ხელ-პირი დავვბანიეთ, თუ გინდათო“. ზარალი დიდი არ არის; მარტო კრამიტი დაიმტვრა და კავი დაიწვა.

— მ. ბალანჩივაძის კონცერტი. თელავში ჩამოვიდა ბ-ნი მელიტონ ბალანჩივაძე, რომლის ჩამოსვლამ ძალიან გვასიამოვნა და ერთხმად გავიძახოდით: იქნება ბ-ნ ბალანჩივაძის კონცერტი ჩვენც გვეღირსოსო, რომელზედაც ჩვენი გაზეთები ამდენს სწერდნენო. მართლაც, იმედი არ გაგვიცრუვდა. ბ. ბალანჩივაძემ მოჰკრიბა მუსიკის მცოდნენი, შეადგინა ორკესტრი და ხორო და ყველას უკვე ამზადებს. ორკესტრს უკვე შეასწავლა ნოტები და ახლა ხოროს ასწავლის. კონცერტი მალე იქნება დანიშნული. კონცერტის გემოს თუ როგორ გავილებთ თელაველები, ამას მკითხველებსაც ვაუწყებთ.

თელაველი

*** **ზ. ზუგდიდი.** მაბეზღრობა. აქ ერთმა სასტუმროს პატრონმა მთელი ქუჩა ააჯანყა და ერთი ალიაქოთი ასტეხა. დღე და ღამ ეს ვაჟბატონი დაწანწალებს აქეთ-იქით და აქაურ ყმაწვილებს, რომელნიც სხვა-და-სხვა ხელობაში იმყოფებიან, უფროსებთან აბეზღებს, თქვენი ბიჭები ამა და ამ საქმეს სჩადიანო. უფროსებიც, რასაკვირველია, უჯერებენ მას და შეუბრალებლად ეპყრობიან თვისს ხელ-ქვეითებს. საჭიროა ადგილობრივმა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ ვაჟბატონს, რომელიც თავისს საძაგელ სენს სხვებსაც გადაადებს.

ი. გურული

*** **ოკრიბა** (იმერეთი). აბანოს მოწყობილობა. ოკრიბაში ხრესილზე არის ერთი სამკურნალო წყალი, რომელსაც ეწოდება გოგირდის წყალი. ეს წყალი ექიმების მიერ შემოწმებულია ძლიერ სასარგებლო წყალად, რაც დღეს ნამდვილადაც მტკიცდება. ამ წყალზე მოდიან იმდენი ხალხი, რომ ტევა აღარ არის; მაგრამ ვაი ამისთანა მოსვლას! საქმე აი რაშია. ხმა არის სოფლებში გავარდნილი „ოკრიბას აბანოზე აუარებელი სახლებია, თითოეული ნომერი ღირს 50 კაპ. ლოგინით, მოსამსახურით და ყოველივე მოწყობილობითო“. ამ იმედით მოდიან აქ შორი მაზრებიდანაც, ოზურგეთიდგან, შორაპნიდგან, სენაკიდან და სხ.,— მოდიან და რჩებიან პირში ჩალა

გამოვლებულნი: არსად არის არც ლოგინი, არც საჭმელი, არც სასმელი და არც ხეირიანი ღამის გასათევი ბინა. მართალია, არის ერთი ძველი სახლი, რომელიც შესდგება ხუთი ოთახისაგან, მაგრამ ეს სახლი მეაბანოე ხალხისთვის კი არა, ტან მთელი ადამიანისთვისაც არ ვარგა, რადგან ისეთი ფარღალალა სახლია, რომ ქარს თავისუფლათ გააქვს შიგ ზუზუნი. ორი ოთახის მდგმურები დახვეტ-დაგვისაგან თავისუფალნი არიან, რადგან პაწია ჩიტები თავისუფლათ შედიან მათ ოთახებში კედლებიდგან და პურის ფინჩხლებს გააქვთ. კიდევ არის ოთხი სახლი (უოთახო), მაგრამ ისინიც ამ ღირსების არიან. ბანაობის შემდეგ აქ იცის ადამიანმა ძლიერი ოფლი, მაგრამ რა ნაირად უნდა დაიდინოს აქ ოფლი მეაბანოებმა, ამას თვით მკითხველი მიხვდება. ეს აბანო ეკუთვნის ქარქაშაძეებს, ესენი აქ რიგ-რიგობით ჰკრეფენ ფულს ყოველ კვირაობით. ჩამოვარდება ერთ კვირას ერთი ამხანაგთაგანი, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი ფული აიღოს ავადმყოფებისაგან, რომ მეორე და მესამე კვირას დანარჩენმა ამხანაგებმა არ აჯობონ და მეტი არ აიღონ. ხოლო იმის შესახებ, ცივა თუ არა ავადმყოფებს, ანუ სისუფთავეა თუ არა ოთახში, შემოდის თუ არა შიგ ქარი, გაქვს თუ არა ლოგინი, ანუ საჭმელ-სასმელი, ამაზე სრულიადაც არ იბერტყენ ყურს. ოთახი, ათი შაურის მაგიერ, ღირს დღე და ღამე ორი ბაზი ერთ კაცზე; ერთს არა აქვს ნება საკუთრათ დაიჭიროს ოთახი, ამ ოთახებში ისეთი წესია, როგორც ცხენების თავლაში: რამდენი კაცი დაეტევა შიგ, იმდენი ორი აბაზი უნდა გადაიხადონ. ოთახის მოწყობილობას შეადგენს, ტახტის მაგიერ, სამი-ოთხი დაფლანგული ფიცარი, არდი-გარდა გადებული. აბანოს მეპატრონე ქარქაშაძეებმა ჩემს კითხვაზე: რა შამოგდისთ წელიწადში მეთქი, მითხრეს: „ყოველივე ხარჯს გარდა, გვრჩება ათას ხუთასი მანეთი, ხან მეტი და ხან ნაკლები; ბევრმა გვაძლია 1500 მანეთი და მეტი წელიწადში, მაგრამ არ მივეცით ჩვენ,—ერთი იმიტომ, რომ ცხრა წლის ვადას გვთხოვენ, გვთხოვენ აგრეთვე, რომ შენობებსაც გავაკეთებთ და ვადის შემდეგ თქვენ უნდა შეისყიდოთო, მეორე, ჩვენს მოკეთეს, —მოყვრებს და ჩვენც ბანაობაში ფულებს გადაგვახდევინებენ და ეს ხომ მაშინ ჩვენ ქონებად არ ჩაითვლება და, მესამე, ცხრა წლის შემდეგ ეგება მოიჯარადრემ აბანო კიდეც წაგვართვასო". აი რას შიშობენ და აი რისთვის არის ამისთანა ძვირფასი სამკურნალო წყალი გამოუსადეგარი დღეს ქვეყნისთვის? თითონ პატივცემულ ექიმს ს. თოფურიას უძლევია ამ აბანოში წელიწადში 1500 მ. ცხრა წლის ვადით, მაგრამ არ მიუცია იგი მისთვის; ეს აბანო რომ ბ. თოფურიას აეღო იჯარით, შესაფერათ მოაწყობდა მას და დიდ სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას და აბანოს მეპატრონეებსაც. რადგანაც ქარქაშაძეები სხვას არ აძლევენ აბანოს იჯარით, რომ სხვამ მაინც შესაფერ წეს-რიგზე მოაწყოს, ამისთვის კარგი იქნება ძილისგან გამოფხიზლდებოდნენ, ცოტათი მაინც შეაკეთებდნენ და გააუმჯობესებდნენ აბანოს. კარგი იქნება, რომ იმ წყალს, რომელიც გადაჰყავთ უბრალო ღარით შორე მანძილზე და რომელსაც ამის გამო გაზი და ყოველივე ღონე ეცლება, მილებით გაიყვანდნენ ასადუღებელ ქვაბამდის. მაგრამ, რადგან ქარქაშაძეებზე ამ იმედის დამყარება ძნელია, კარგი იქნება ამ ფრიად საყურადღებო გარემოებას მიაქცევდეს ყურადღებას, ვისაც ჯერ არს.

მაქსიმე ელენტი

*** **ს. ცაიში** (ზუგდიდის მაზ.) **ჯიბრით შურის-ძიება.** სოფ. ცაიში ბუნებისაგან შემკობილია ყოველი სიკეთით: მას არ აკლია მთა-ბარი, მინდორ-ტყე-ველი, მდინარე და საამური წყაროები. აგრეთვე მდიდარია ჰაერითა და მიწის ნიადაგით. მარტო დაფნის ტყე, რომლის ფოთოლს რიგიანი ფასი აქვს, იმდენი გადის ამ სოფლიდან ყოველ წლობით, რომ სხვა სოფლებში მგონი ყველაფრის შემოსავალი ერთად არ იქნება იმდენი, რამდენსაც აქ დაფნის ტყე იძლევა.

თუმცა ამ სოფლის საზოგადოება არ შეიცავს ზოგიერთ საზოგადოების დონ მცხოვრებთ, მაგრამ არც ისე მცირეა, რომ რაიმე კარგი საქმე დაიწყოს და ვერ შეასრულოს, მით უმეტეს, რომ ნივთიერი ქონებით არ არის დავარდნილი. აქ რამდენჯერმე მოვკარი ყური უფასო სამკითხველო წიგნთსაცავის დაარსებისა და ერთ კლასიან სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთების თაობაზე და სხვა სასარგებლო საქმეების დაწყობაზე, მაგრამ თქმა და დაჩუმება ერთი შეიქნა ყოველთვის. როგორც გავიგეთ, ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი ყოფილა ჯიბრით შურის-ძიება, რომელიც აქ დიდათ გავრცელებულია. აი კიდევ შურის-ძიების ერთი ნაყოფი: 1895 წ. ბ. კვირაიას მიერ იქმნა აქ გახსნილი აფთიაქი. იგი უქადდა საზოგადოებას დიდ შემწეობას, მაგრამ ქორიანობამ და ჯიბრმა მალე იძულებულ ჰყო დიდათ პატივ-საცემი ბ. კვირაია დაეხურა აფთიაქი გახსნის შემდეგ მეთერთმეტე თვეზე. სად არის სათავე ამ ჯიბრიანობისა? ამ საზოგადოებაში არის რამდენიმე ნივთიერად შეძლებული პირი, რომელთაც მთელი საზოგადოება ძალა-უნებურად ემორჩილება. ამათ ჰსურთ ყოველი საქმე თითონ ჩაიგდონ ხელში და რაიმე სარგებლობას გამორჩნენ, ხოლო თუ ვინმემ საზოგადოებისათვის რაიმე სიკეთე მოინდომა, მაშინვე შურით აივსებიან ეს ვაჟბატონები და ხალხის სიკეთის მსურველს ჩამოუგდებენ საზოგადოებაში ჭორს და უთანხმოებას...

ერთ აქაურის მცხოვრების, რამდენიმე წლით აფთიაქში ნამსახურის და საკმაოდ გამოცდილ პირის ჯიბრზე, რომელიც დიდ შემწეობას გვაძლევდა ხოლმე ექიმის მოყვანამდე, ერთმა გავლენიანმა პირმა მოიყვანა ვიღაც არ-რის მცოდნე გურული, ხელობით ხარაზი, და გაავრცელა ხმა, ეს არა თუ შესანიშნავი ექიმი, სასწაულთ-მოქმედი ვინმეაო. გამოცდილ პირებს თუმცალა ესმით და იციან, რა ზიანის მოტანა შეუძლია ამ ცრუ ხარაზ-ექიმს, მაგრამ წინაღმდეგი სიტყვის თქმას დიდი გაბედვა უნდა და ძალა-უნებურად ჩაისხეს პირში წყალი. ამ ხარაზ-ექიმმა დაიწყო ექიმობა, ამზადა წამალი, აძლია საზოგადოებას ულირალ ფასად და ავადმყოფები თან-და-თან უარესს მდგომარეობაში ჩააგდო. ამის შესახებ „ჩერნ. ვესტ."-ში წერილი დაიბეჭდა და ბ-ნ მაზრის უფროსის განკარგულებით იმ ხარაზ-ექიმს ჩამოერთვა ხელ-წერილი, რათა ხელი აეღო ექიმობაზე და ბრძანება მიეცა ადგილობრივს მამასახლისს, ყურადღება მიექცია, რომ ხარაზს არ განეგრძო თვისი ცრუ ექიმობა მისს საზოგადოებაში. ვუყურებთ მას აქეთ, ცრუ ექიმმა კიდევ უფრო უმატა თავის გაიძვერობას და თითქმის რამდენიმე ავადმყოფი კიდეც დააწვინა თავის მასპინძლისას საექიმოდ. გაატყავა სოფელი, მაგრამ ყურს ვინ იბერტყს? მოწერილობა შენახულია, მისი მასპინძელი შემძლებელი და გავლენიანი პირია...

კოლონა

*** **გვაშტიბის საზოგადოება.** (იმერეთი) **სწავლა განათლების მდგომარეობა.** გვაშტიბის საზოგადოება მდებარეობს ქალაქ ქუთაისიდან 18 ვერსის მანძილზე. იგი ადგილ-მდებარეობით და ბუნების სიმდიდრით ქვემო იმერეთის სოფლებს გაცილებით სჯობია. ეს საზოგაოოება ცხრა სოფლისაგან შესდგება. სიმდიდრით ეს სოფლები, შედარებით, ქვემო იმერეთის სხვა სოფლებს უკან არ ჩამოურჩებიან. მიუხედავად ამისა იმ დროს, როდესაც სხვა სოფლები ერთმანერთს ასწრებენ სკოლებისა და წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსებას, ჩვენი ათას კომლოვანი საზოგადოება სალათას ძილს მისცემია და ერთ კლასიანი სკოლაც კი ვერ დაუარსებია, რომ მათმა შვილებმა წერა-კითხვა შეისწავლონ და ასე თუ ისე აცდნენ წუმბელა ჩარჩ-ბაცაცების ბასრ ბრჭყალებს, რომელიც უვიცს უფრო ჩხვლეტს, ვიდრე უფრო შეგნებულს.

აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ ხსენებული საზოგადოება არც ისეთი გონება-დაბნელებულია, რომ ამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს სწავლის საჭიროებას არ გრძნობდეს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ყოველ გვარი საქმე მოთავეს თხოულობს და ამ საზოგადოებას კი სწორედ ასეთი მოთავე არ გააჩნია. ჯერ კიდევ ოთხმოცდა ხუთ წელში ჰგრძნობდა ეს საზოგადოება სწავლის საჭიროებას და კიდეც მოაწყვეს სკოლის დარბაზი, რომელიც არა მცირე ფასად დაუჯდათ, მაგრამ ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა, იმავ წელს სკოლას ცეცხლი წაუკიდეს და გადილოცეს „ჩიჩილმკთან" ერთათ; მას შემდეგ დარჩა უსკოლოდ ეს საზოგადოება და ახალი სკოლის დაარსებისათვის ყურებსაც არავინ იბერტყავს. განა გვაშტიბის საზოგადოებას არ მოეპოება ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს ითავოს სკოლის დაარსების საქმე! ასეთი პირნი აქ ბლომად მოიძებნებიან, მაგრამ მათ სკოლისთვის არა სცხელათ, მამა-პაპურ შექცევა-გართობაში ჰკარგავენ დროს და ამიტომ მათგან სკოლის დაარსებაზე ზრუნვის იმედს ვერ ვიქონიებთ. მაგრამ, სამაგიეროდ აქ არიან ისეთებიც, რომელთაც შესტკივათ ხალხისთვის გული. ასეთნი ბრძანდებიან თავადი მერაბ ლორთქიფანიძე და მისი ოჯახობა, რომელსაც ხალხისაგან დიდი ნდობა მოუხვეჭია. აი ამათგან უნდა ვიქონიოთ, რომ ითავებენ სკოლის დაარსებას გვაშტიბის საზოგადოებისათვის.

ნესტორ

## რედაქციისაგან

**ბათომში** იულ. ჭანჭათელს. თქვენი წერილი „მეურნეს" შესახებ დიახაც საფუძვლიანია, მაგრამ მისი დაბეჭდვა ჩვენთვის მოუხერხებელია; რუსები იტყვიან—დაცემულს არა სცემენო. ისევ ისა სჯობიან პირდაპირ გამომცემელს მიმართოთ, იგი, ჩვენ გვჯერა, არ იწყენს სიმართლიან საყვედურს.

**ხაშურში** ერთ ვინმეს. თქვენი საპასუხო წერილი კვართისის ეკკლესიის შესახებ ვერ დაიბეჭდება.

## საეკკლესიო-სამრევლო სკოლები ტფილის-ბორჩალოს მაზრებში.

უნდა სასიხარულოთ აღვნიშნოთ ის, რომ ამ ბოლო წლებში, საეკკლესიო სამრევლო სკოლები მრავლობით მატულობენ ჩვენს საქართველოში, როგორც ქალაქებში აგრეთვე სოფლებშიც და უნდა დარწმუნებულიც ვიყოთ, რომ უფრო შესამჩნევად იმატებენ შემდეგისათვის. ამ სკოლების იმედით, არ შეიძლება, რომ ჩვენს საქართველოსაც წინ-მსვლელობა არ შეეტყოს და იმ ზოგს გლეხებს, რომელთაც დღეს ქირივით სძაგთ სკოლა, დიდათ არ შეუყვარდეთ და ყველამ არ მოიწადინოს განათლების მიღება; მაშასადამე მოლოდინი ვიყოთ იმისი, რომ ჩვენს გლეხობასაც, ზოგიერთა რუსეთის განათლებულის სოფლის გლეხებსავით, გუთანზე, ზოგს გაზეთები ეჭიროთ, ზოგს სხვა და სხვა წიგნები და შრომის დროსაც ირთობოდნენ თავს უცხო ამბებით. ყოველივე ამ იმედებს ამტკიცებს გამრავლება სკოლებისა; ჩვენს საქართველოში, ამ თხუთმეტის წლის წინად, კიდევაც აქეთ, არ მოიპოვებოდა არც ერთი სამრევლო სკოლა, არამც თუ სოფლებში, ქალაქებშიაც კი, დღეს კი ღვთის მადლით მრავალი და უმრავლესობასაც მოველოდეთ, ჯერ მარტოთ, ტფილის-ბორჩალოს მაზრაში არის ორმოცი საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლებიც ნამდვილ ცნობებიდან მაქვს შეკრებილი და გავაცნობ მკითხველ საზოგადოებას. ჯერ მარტო შიგ ტფილისის სკოლებს, რომლის რიცხვი შეადგენს ცხრამეტს შემდეგთ: 1) ქვაშვეთის ეკკლესიის სამრევლო სკოლა, რომელიც დაარსებულია 1890 წ. სკოლის გამგეთ ბრძანდება, წინამძღვარი მარკოზ ტყემალაძე, სამღვთო სჯულის მასწავლებლად მღვდელი გრიგოლ გამდლიშვილი და საგნების მასწავლებლათ ქალი ელისაბედ თუშმალოვი, სწავლობდნენ შეგირდები: 19 ვაჟი და 17 ქალი. 2) დიდუბის ეკკლესიის სამრევლო სკოლა, დაარსებულია 1890 წ. გამგე ამისი და სამღვთო სჯულის მასწავლებელი არის ცინცაძე, მასწავლებლად დავით ახმეტელოვი, მდგომარე წელში სწავლობდნენ შეგირდები, 19 ვაჟი და 14 ქალი. 3) ალექსანდრე ნევსკის ეკკლესიის სკოლა დაარსებულია 1887 წელს გამგე ამ სკოლისა, ბრძანდება წინამძღვარი ზვერიევი, სამღვთო სჯულის მასწავლებლად სერგეი გოროდცოვი, საგნების მასწავლებლად ქალი ნატალია ზავიალოვისა, სწავლობდნენ 32 ვაჟი და 15 ქალი. 4) ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიასთან არის ორი სკოლა, პირველი არის გახსნილი 1891 წ. გამგე ორივე სკოლებისა ბრძანდება მღ. სოლომონ შოშიაშვილი, საღმთო სჯულის მასწავლებლად მღ. მახათაძე, მასწავლებ. საგნებისა, ქალი ანნა ხახუტოვი. მეორე არის გახსნილი 1897 წ. სამღვთო სჯულის მასწავლებელია სოლომონ შოშიაშვილი, საგნების მასწავლებლად ქალი ოლღა მახათაძე; სწავლობდნენ მდგომარე წ. ორივე სკოლაში ვაჟი 50 და ქალი 51. 6) კვირაცხოვლის ეკკლესიასთან აისორების სამრევლო სკოლა დაარსებულია 1888 წ. გამგე ამისი დეკანოზი გურგენიძე, სამღვთო სჯულის მასწავლებლად მედავითნე ლეონტი მცხვეთაძე, საგნების მასწავლებლად ქალი მართა ნადიროვი, სწავლობდნენ ვაჟი 24 და ქალი 14; 7) კუკის სასაფლაოს ეკკლესიის სკოლა დაარსებულია 1896 წ. გამგე ამ სკოლისა, ბრძანდება წინამძღვარი ალექსანდრე რაზუმევსკი სამღვთო სჯულისა და სხვა საგნებისა, მთავარ-დიაკონი დავით მარსიევი; სწავლობდნენ მდგომარე წელში 11 ვაჟი და 16 ქალი. 8) ავლაბრის წმ. მარინეს სკოლა დაარსებულია 1885 წ. გამგე ამ სკოლისა მღვ. მიხეილ ბერძენოვი იგი სამღვთო სჯულის მასწავლებლად, საგნების მასწავლებლად ივანე შვაქოვი, სწავლობდნენ ვაჟი 37 და ქალი 5. 9) დარიის მონასტრის სკოლა დაარსებულია 1890 წ. გამგეთ ბძანდება არხიმანდრიტი ვკესარი, მასწავლებლად, ონისიმე ჩივაძე, სწავლობდნენ მდგომარე წ. 40 ვაჟი. 10) ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკკლესიის სკოლა დაარსებულია 1890 წ. გამგეა მღვდელი ჩიჟავაძე, იგივე სამღვთო სჯულის მასწავლებლად, სხვა საგნებს მასწავლებლად ქალი ოლღა ბატიევი; საწავლობენ ვაჟი 5 და ქალი 15; 11) სამების ეკკლესიის სკოლა დაარსებულია 1891 წ. გამგე ამ სკოლისა ბრძანდება დეკანოზი არდაზიანი, სამღვთო სჯულისაც და საგნების მასწავლებლად არის ანნა არდაზიანი, სწავლობდნენ მდგომარე წ. 22 ვაჟი და 23 ქალი; 12) მთაწმინდის ეკკლესიის სკოლა დაარსებულია 1891 წ. სამღვთო სჯულის მასწავლებლად და გამგეთ ბძანდება ნესტორ მაჭარაშვილი და საგნების მასწავლებლად ქალი დარია ლაზარევი, სწავლობდნენ მდგომარე წ. 49 ქალი; ამ სკოლას აქვე შევნიშნავ, რომ ყველა სკოლაზე მაღლა სდგას, რომელიც მოწონებულია უმაღლესის მთავრობისაგან. 13) ვერის იოანე ნათლისმცემლის ეკკლესიასთან არის ორი სკოლა პირველი დაარსებულია 1889 წ. გამგე და სამღვთო სჯულის მასწავლებელია მღვდელი ნიკანდრ პოკროვსკი, მასწავლებლად საგნებისა, ქალი ეკატირინე მახვილაძე, სწავლობდნენ 24 ვაჟი და 41 ქალი. 14) იქავე, მეორე არის დაარსებული 1896 წ. გამგე იგივე პაკროვსკი, სამღთო სჯულის მასწავლებლად მღ. ჩაგუნავა გიორგი, საგნების მასწავლებლად ქალი ზინობია ფეველისტოვა; სწავლობდნენ ვაჟი 42. 15) ვერის წმ. ნიკოლოზის სკოლა დაარსებულია 1890 წ. გამგე დეკანოზი სოლომონ ელიოზოვი, სამღვთო სჯულის და საგნების მასწავლებელი ქალი ლიუბა ეგაძე, სწავლობდნენ ვაჟი 30, ქალი 13. 16) ნაძალადევის სამრევლო სკოლა არის დაარსებული 1897 წ. გამგე ამისი მღვდელი იროდიონ გურგენიძე და სამღვთო სჯულის მასწავლებლათაც იგივე, საგნების მასწავლებლათ ქალი ნადეჟდა ხრისტოვსკაია; სწავლობდნენ ვაჟი 17 და ქალი 19. 17) წმ. პეტრე პავლეს ეკკლესიის სკოლა დაარსებულია 1897 წ. გამგეთ და სამღვთო სჯულის მასწავლებლათ დეკანოზი გძელიევი, მასწავლებლად საგნებისა, ქალი თამარ კუჩეკოვი; სწავლობდნენ მდგომარე წ. მხოლოდ 6 ვაჟი და 6 ქალი. 18) ბერძნების წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის სკოლა დაარსებული 1898 წ. გამგე ამ სკოლისა ბძანდება დეკ. ალექსანდრე ზუბშელიძე, სამღვთო სჯულის მასწავლებლად პრიჩეტნიკი ჩიქოვანი, საგნების მასწავლებლად მარია ხანდამოვი; სწავლობდნენ 12 ვაჟი და 28 ქალი. 19) ამაღლების ეკკლესიის სკოლა დაარსებულია 1898 წ. გამგე და სამღვთო სჯულის მასწავლებლად არის მღვ. დავით ბარნაბოვი, საგნების მასწავლებლათ ნატალია ზელიანსკაია. იმ ეკკლესიებთან სადაც არ არის სამრევლო სკოლა, მაგ. ანჩხატთან, კალოუბანთან და სხვ... გაიხსნება ჩქარა, რომელსაც იმედნეულობს სამრევლო სკოლების სამაზრო ზედამხედველი ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი მღვ. მარკოზ ტყემალაძე. სამრევლო სკოლების საბჭომ, დაინახა, რომ გალობა დიდი საჭიროა ბავშვებისთვისო, ამისთვის, დანიშნა გალობის მასწავლებლად ორი: შარაშიძე და ბერიევი, რომლებიც სამაგალითოთ ასწავლიან 9 სასწავლებელში და ჯამაგირიც მთავრობიდან ეძლევათ. მხოლოდ ქვაშვეთის ეკკლესიის სკოლას ყავს გალობის მასწავლებლად, ეკკლესიის ხარჯით დაქირავებული ალ. კავსაძე.

მედ. სერგო

(შემდეგი იქნება)

### ყურმოკრული საუბარი

—

ცოლი ეუბნევა ქმარს. აბა, მითხარი, რა სიამოვნებას ნახულობ მაგ დაწყევლილ ღვინოში.

— მაგას კი ვერ გეტყვი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თუ შენც გაუღე მაგ სიამოვნებას გემო, შენც გამილოთდები.

## წვრილი ამბავი

—

ანდრეს დაკარგვის საქმე. ანდრეს ბედი, რომელიც შარშან ჰაერის ბურთით გაემგზავრა შორეულ ჩრდილოეთში და რომლის შესახებ ეს ერთი წელიწადია არავითარი ამბავი აღარ მოდის, მეტად აინტერესებს მთელ ევროპას. ამას წინად ერთმა მეზღვაურმა ნახა ზღვაში ბოთლი ანდრეს სადარბაზო ბარათით, რომელზედაც ეწერა: „ანდრე. 1898 წ.“ ამ ამბავმა მთელ ევროპას იმედი აღუძრა, ალბად ანდრე წელს კიდევ ცოცხალი ყოფილაო. მაგრამ ახლა გაზ. „Temps“-ი ამტკიცებს: ეს ბოთლი და ბარათი ეკუთვნის არა დაკარგულ, ცნობილ ანდრეს, არამედ კაპიტანს ერნესტ ანდრეს, რომელიც წელს გაემგზავრა პოლიუსის ქვეყნებისაკენაო.

## განცხადებანი

# ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., ½ გირვანქა 2 მან. 50 კაპ.

ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—12)

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება დიდისა მოწამისა

# იაკობ დაჭრილისა

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა

ფასი ერთი შაური (10—5)